ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობა "აიბილდ 1"-ის

კრების ოქმი № 11

ქ.თბილისი 28.01.2018

ამხანაგობის მისამართი: ქ.თბილისი, ვაკე, ნუცუბიძის ფერდობი, მე-3 მკ./რ., 1კვარტალი, კორპუსი 6-გ

ამხანაგობის თავმჯდომარე: ირაკლი ძაგანიშვილი - პ/ნ: 01008048490.
(სახელი, გვარი, პირადი ნომერი)

კრების ჩატარების ადგილი: ქ.თბილისი, ვაკე, ნუცუბიძის ფერდობი, მე-3 მკ./რ., 1კვარტალი, კორპუსი 6-გ-ს ეზო.

კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა: მარინე ჩხიკვიშვილი - პ/ნ: 01009002504
(სახელი, გვარი, პირადი ნომერი)

კრებას დაესწრო 26 ბინის მესაკუთრე, რაც შეადგენს 100 %-ს

დღის წესრიგი:

1. 0-სართულზე არსებული პარკინგის მოწესრიგება
2. სახურავის საერთო სარგებლობის ტერასის გამწვანება

მოისმინეს:

1. ამხანაგობის თავჯდომარის - ირაკლი ძაგანიშვილის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ 0-სართულზე არსებული პარკინგი დაცულია მხოლოდ შლაგბაუმით და თავისუფლად შედიან უცხო პირები, რის გამოც შეუძლებელია სისუფთავის დაცვა და აგრეთვე დაუცველია მანქანებიც. მან წამოაყენა პარკინგზე ვიდეოკამერების დამონტაჟების წინადადება, რასაც დაეთანხმნენ სხვა ბინათმესაკუთრეები.
2. ამხანაგობის წევრის ბ-ნ მანუჩარ დათიაშვილის ინფორმაცია „მწვანე სახურავის" მოწყობასთან არსებული პრობლემების შესახებ. აღინიშნა, რომ ამხანაგობის წინა კრებების გადაწყვეტილებით მობინადრეებმა უკვე დაიწყეს კორპუსის ირგვლივ ეზოს გამწვანება და „მწვანე სახურავის" მოწყობა. ფისტას ასოციაციის დახმარებით კორპუსთან დაირგა ფისტას და სხვა სახის ნერგები. მაგრამ გამოჩნდა სირთულეებიც. დღევანდელი მდგომარეობით ღია ტერასის ნაწილი გადახურულია პერგოლით, რაც იცავს მცენარეებს ზაფხულის მცხუნვარე მზისაგან, მაგრამ სასურველი „მწვანე სახურავის" მოწყობა შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან მცენარეები დაუცველია ქარებისგან და ვერ უძლებენ ზამთრის ყინვებს, ხოლო ყინვაგამძლე მცენარეებს შორის არჩევანი ძალიან მცირეა. ამხანაგობის წევრებმა გამოთქვეს აზრი, რომ კარგი იქნებოდა არსებული პერგოლის შემინვა ისე, რომ მაქსიმალურად დაცული იყოს ჩრდილოეთის მხრიდან და კარგად ნიავდებოდეს, ხოლო ზაფხულში მაქსიმალურად იხსნებოდეს აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან. ასეთ შემინულ სივრცეში შესაძლებელი იქნება ღია ტერასის მცენარეების მოვლა/გამოზამთრება და მცენარეების რაოდენობა და ნაირსახეობაც გაიზრდებოდა. იმავდროულად შემინულ სივრცეს მობინადრეები გამოიყენებენ როგორც ზამთრის ბაღს.

მარინე ჩხიკვიშვილი

ხმათა 100 %-ით გადაწყვიტეს:

1. მოიძებნოს კომპანია, რომელიც დაამონტაჟებს ვიდეოკამერებს კორპუსის 0-სართულზე არსებულ პარკინგზე
2. ამხანაგობამ თხოვნით მიმართოს ქ. თბილისის მერიას არსებული პერგოლის შემინვის ნებართვის თაობაზე და აგრეთვე სამშენებლო კომპანია „Ibuild“-ს, რათა მან კორპუსის მობინადრეებს დაეხმაროს საერთო სარგებლობის ღია ტერასაზე არსებული პერგოლის შემინვაში ისე, რომ შესაძლებელი გახდეს ზამთარში მცენარეების დაცვა, ზამთრის ბაღის სივრცის შექმნა და არ დაირღვეს კორპუსის იერსახე.
3. ორივე საკითხთან დაკავშირებით, მობინადრეთათვის გადახდის პირობების გამარტივების მიზნით, შემსრულებელ კომპანიებთან გაფორმდეს განვადების ხელშეკრულებები.

კრების თავმჯდომარე მარინე ჩხიკვიშვილი

(სახელი, გვარი)

მარინე ჩხიკვიშვილი

(ხელმოწერა)

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N180113479
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	05.02.2018 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	სოფიკო გობეჯიშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. N 49, კვარტალი I, კორპუსი 3,ბინა N1
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2 725310
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	00521530889518

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორი ათას თვრამეტი წლის ხუთ თებერვალს მე, **ნოტარიუს სოფიკო გობეჯიშვილს** ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №49, კვარტალი 1, კორპუსი 3, ბინა 1, მომმართა **მარინე ჩხიკვიშვილმა** (დაბ. 01.09.1957წ. პირადი № **01009002504**, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი, პეტრე ქავთარაძის IV შეს. №2, ბინა №51). მან წარმოადგინა წინამდებარე 28.01.2018წ. ბმა "აიბილდ I"-ის კრების ოქმი №11 -ზე და მოითხოვა მასზე თავისი ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე **მარინე ჩხიკვიშვილის** პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **მან** მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. **ხელმომწერს** ჩემს, ნოტარიუსის მიერ, განემარტა, რომ წინამდებარე სანოტარო მოქმედებით ნოტარიუსი პასუხს არ აგებს დოკუმენტის შინაარსზე და სამართლებრივ შედეგებზე და ამოწმებს მასზე მხოლოდ ხელმოწერის ნამდვილობას. **მარინე ჩხიკვიშვილმა** ჩემი თანდასწრებით, პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე კრების ოქმს. წარმოდგენილი დოკუმენტი ორგვერდიანია, ხელმოწერა შესრულებულია ორივე გვერდზე.

გადახდილია საზღაური 4 ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების [illegible] დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2011წ. 29.12. # 507-ე დადგენილების 3.3 და 2 ლარი 39-ე პ.1 მუხლის შესაბამისად. სულ გადახდილია 6 ლარი.

ნოტარიუსი